საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 178 2018 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილებაში (სსმ, 13/05/2010, მუხლი 839) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების 1^1 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ – უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობის, თეატრების სადადგმო ხარჯების, ანსამბლების/ორკესტრების/მუსიკალური ცენტრების შემოქმედებითი და სახელოვნებო/სასპორტო სასწავლებლების სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფის, ქართული კინომემკვიდრეობის

საქართველოში დაბრუნების, სამეცნიერო და არქეოლოგიური კვლევების, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაციის, მუზეუმების მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და ქართული კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციისა და გავრცელების მიზნით დასადებ ხელშეკრულებათა პროექტებზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**